1607-01-01-2-202409281650

№01-01/1607
28/09/2024

ა(ა)იპ „საქართველოს ახლგაზრდა იურისტთა ასოციაციის“

დირექტორს **ნანუკა ყრუაშვილს**

ქალბატონო **ნანუკა,**

თქვენი, მიმდინარე წლის 17 სექტემბრის განცხადების (ცესკოში რეგ. №2401;17.09.2024) პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის იგეგმება შესაბამისობის აუდიტის ჩატარება, რომელიც ითვალისწინებს ელექტრონული საშუალებებით ჩატარებული არჩევნების საერთაშორისო საარჩევნო პრინციპებთან და საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენას და ასევე, პროგრამული ფუნქციონირების შემოწმებას. აღნიშნულის შესახებ, ასევე გაკეთდა ცესკოს ოფიციალური განცხადება, რომელიც შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე: https://cesko.ge/ge/siakhleebi/pres-relizebi/singleview/11034119-26-oktombris-archevnebze-elektronuli-teknologiebis-shesabamisobis-auditi-kidev-ertkhel-chatardeba და ინფორმაცია გავრცელდა მედია საშუალებებში.

კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბნებზე განთავსებული ელექტრონული საშუალებების, როგორც ტექნიკურ, ასევე, პროგრამულ მხარდაჭერას განახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი - ელექტრონული მოწყობილობების ტექნიკური სპეციალისტი. საჭიროების შემთხვევაში კენჭისყრის დღეს კომპანია „სმარტმატიკის“ წარმომადგენლები უზრუნველყოფენ შესაბამის ინტერვენციას.

ასევე, გაცნობებთ, რომ ვერიფიკაციის აპარატებში, კენჭისყრის დღეს, ჩატვირთული იქნება ამომრჩეველთა ერთიანი სია, რის შემდეგაც კონკრეტული საარჩევნო უბნებისათვის გათვალისწინებულ აპარატებში მოხდება საარჩევნო უბანზე რეგისტრირებული ამომრჩეველთა სიის გააქტიურება. აქვე აღსანიშნავია, რომ კენჭისყრის დღეს აპარატიდან ხორციელდება ამომრჩეველთა სიის ამობეჭდვა, რომელიც ე.წ. კედლის სიასთან ერთად გამოიკვრება, რაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აძლევს შესაძლებლობას გადაამოწმოს და მოახდინოს მისი შედარება.

ამასთან, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 76^4-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ნამდვილია დადგენილი ნიმუშის მხოლოდ ის საარჩევნო ბიულეტენი, რომელზედაც გაფერადებულია ან/და მონიშნულია მხოლოდ ერთი საარჩევნო სუბიექტის სახელწოდების წინ არსებული შესაბამისი წრე, მიუხედავად საარჩევნო ბიულეტენში ნებისმიერი სხვა სახის აღნიშვნის/წარწერის არსებობისა. ამავე მუხლის, მე-5 პუნქტის თანახმად, ბათილია დადგენილი ნიმუშის საარჩევნო ბიულეტენი თუ, გაფერადებულია ან/და მონიშნულია ერთზე მეტი საარჩევნო სუბიექტის სახელწოდების წინ არსებული შესაბამისი წრე, ან არ არის გაფერადებული

ან/და მონიშნული არცერთი საარჩევნო სუბიექტის სახელწოდების წინ არსებული შესაბამისი წრე. აქედან გამომდინარე, ბიულეტენების დათვლის პროცედურებში, სადაც გამოყენებულია ელექტრონული ტექნოლოგიები კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საეჭვოდ მიჩნეულ ბიულეტენებზე მსჯელობის საკითხს.

ასევე გაცნობებთ, რომ ცესკოს მიერ გამართულ სასწავლო-საინფორმაციო შეხვედრებზე მარკირების პროცედურა არ იყო გათვალისწინებული, თუ საქმე ეხება მარკერს, რომლითაც ამომრჩეველი აკეთებს არჩევანს, შეხვედრებზე გამოყენებული საარჩევნო ბიულეტენი არის სატესტო ვერსია და შესაბამისად, კენჭისყრის დღეს გამოყენებული ბიულეტენის ხარისხი იქნება განსხვავებული, რაც უზრუნველყოფს ფარულობის დაცვას.

დამატებით გაცნობებთ, „2024 წლის 26 ოქტომბერს გასამართი არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო პროცედურისა და ვადის განსაზღვრის შესახებ" ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2024 წლის 16 აგვისტოს №32/2024 დადგენილებას მხარი დაუჭირა ცესკოს 12-მა წევრმა. კერძოდ: 1. გიორგი კალანდარიშვილი; 2. გიორგი შარაბიძე; 3. გიორგი ჯავახიშვილი; 4. არჩილ ანასაშვილი; 5. ნინო ბასილაია; 6. მაია ზარიძე; 7. ივანე ნორაკიძე; 8. გია ცაცაშვილი; 9. გიორგი ძაგანია; 10. გიორგი ჭიქაბერიძე; 11. დიმიტრი ჯავახაძე; 12. ლევან ჯგერენაია.

ამასთანავე, მოთხოვნისამებრ, დანართის სახით გეგზავნებათ საწყობების ჩამონათვალი შესაბამისი მისამართების მითითებით.

დანართი: 3 (სამ) ფურცლად.

პატივისცემით,

გიორგი კალანდარიშვილი

კომისიის თავმჯდომარე

.